



მეატრნი სხოპრებ

ათაყვრთ სავლიფრატურთ ქერნალი

№ 25.—1914

ზ ა ს ი 10 კ.

კვირა, 24 აგვისტო.



Handwritten text in a pinkish-red box, including the name 'გვარამია' and the initials 'გვ. გ. ყ.'.

ლადო აღნიშვილი
(გვარდით და მისი)

მისი გარდაცვალება 10 წ. უფრო გვიან



1. კეთილსინდისიერება, მეთაური. 1
2. ჩენი თეატრი გადასაკეთებელია, თავისუფალი მეთვალყურისა. 2
3. ლაღო აღნიაშვილი, ჯღ. შირაჩანაშვილისა. ”
4. მოხუცი მნათე, ღა ჩა:ნუღაისა 4
5. სიმეხინჯე, როგორც სახე მე-XIX-ე საუკ. ქართველისა დღევანდლამდე, ვახ. კოტეტიშვილისა 6
6. სატრფოს, ი. სისინუღაიძისა 8
7. ცხოვრება, პიესა სამ მოქ., ს. გლახაშვილისა 9
8. რას უქადის ხელოვნებას მომავალი, ჯღ. წერეთლისა 12
9. სპიროა დრ. სახ. ბაქოში, ს. ქ-ძისა ”
10. გვრიტი, ვანო საათაშვილისა 14
11. ქართული სახალხო სახლის ისტორია, გ. ჯაბაყურისა ”
12. სახალხო სახლი ქიათურაში, ნ. ჯახიაშვილისა 15
13. წვრილი ამბები ”
14. სურათები, შარყი, განცხადებანი.

საზოგადოებრივი კართული დრამატული საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ მას განზრახული აქვს მოაწიოს საკულისტების ხელმძღვანელობით

სამეცნიერო კრებულის სტუდია ამიტომ იგი იწვევს ქალთა და ვაჟთა, რომელთაც ქართულ სცენაზე მუშაობის სურვილი აქვს, ჩაეწონენ ამ თავითვე გამგეობის კონტორაში. ჩაწერის ვადა დანიშნულია განცხადების დღიდან პირველ სექტემბრამდე. სწავლა უფასო იქნება. პირობების გაცება შეიძლება კონტორაში დღისით 1—3 საათამდე. წერილობითი განცხადება მისამართის ჩვენებით წარმოადგენს უნდა იქნეს სახ. კანტორაში.

შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ შექსპირის რვა ტრაგედიის გამოცემად: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რინარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისა. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადღებულ იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა.—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვალად: პირველი შემოსატანი—1 მან., მეორე—პირველ ნომბერს—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება თბილისში: ქართვ. შორის წერაკითვის საზოგადოების გამავერცელებელ მალაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) და ქუთაისში მთავრ-წილისა და ოცხელის წიგნის მალაზიებში.

გამომცემელი კნ. ანასტასია აღექსანდრეს ასული მაჩაბლისა.

122



№ 25

წ. 11

წლიურად 5 მ., ნაწევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღებენ მთელი საქართველოს სსხ. კანტონებში და სურაპანს სტამბაში. მისამართი: Тифлиς, Грузинский Театръ, ред. «Театри да Цховреба» Юс. Имедашвили

ხელ-მოუწერილი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტონში — დილით 9—2 ს., სარლამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-9, სტამბისა — 15-41.

№ 25

კ ვ ი რ ა 24 ა ბ ვ ი ს ტ ო

1914 წ.

24 აბვისტო

კეთილ-სინდისიერება

ყოველგვარი საქმის — განსაკუთრებით საზოგადოებრივი საქმის — მთავარი მამოძრავებელი ძალა კეთილსინდისიერებაა, ის თვისება, რომლითაც აღკუთრდება უნდა იყოს ყოველი საზოგადო საქმის სათავეში მდგომი და მისი თანამსახური, თუ კეთილსინდისიერებით, მოვალეობის მტკიცე შეგნებით არა ხარ გამსკეპალული და საქმის ნამდვილი სიყვარულით გამთბარი — ვერაფერს გააკეთებ.

ხვალ შეიკრიბებიან ჩვენის სცენის ქურუმნი და მათი მესეკურნი მომავალ სეზონის მუშაობის დასაწყებად

კარგი დასაწყისი უკეთესი მომავლის თავდებია, მკვიდრი საძირკველი — საიმედო შენობის გვირგვინი, — აი რა უნდა შეიგნონ მათ. არც ერთი საქმე არაა ისეთი ცოცხალი, არც ერთი საქმე არ ითხოვს ყურადღების მუდმივობას, შეუჩერებელ საქმიანობას ისე, როგორც სცენა. სწორედ ეს უნდა იქონიონ მხედველობაში ჩვენის სცენის მესეკურნ-მსახურთ და თვისი ძალიანვე მას შეუწონონ.

წელს ქართ. დრამ. საზ. გამეგობამ ვაბეღული ნაბიჯი გადასდგა. — ბევრი ახალგაზდა მოიწვია დასში და თითოეული მათგანი მსახიობის სახელ-ნდობით აღკუთრდა, მაგრამ ეს არა კმარა: სწორედ ამ დღიდან ჰმართებთ ახალგაზდა მსახიობთ შრომის გაორკეცება, კეთილსინდისიერი მუყითობა, რომ საზოგადოების ნდობა-იმედი გაამართლონ.

სიყვარული სამშობლო სცენისა. მოწინავეებითი პატივისცემა ხელოვნებისა, — აი რა


უნდა აფრთოვანებდეს გულსა მათსა და რწმენას განუშტკიცებდეს...

წელს გამეგობამ ახალგაზდა რეჟისორთ მიანდო ფრიად საპასუხსავებო საქმე — **ახალი თეატრის** შემქნა **ნორჩის ძალებით**: ამ ახალმა რეჟისორებმა უნდა შემოიტანონ ახალი რამ, წარმოსტკიან ახალი სიტყვა ხელოვნებისა, — მაგრამ **მინდობილება** როდი კმარა, — საჭიროა მისი კეთილსინდისიერად **განხორციელება**..

გამეგობამ მოიწვია დასი, ამით ფორმალურად ვალი მოიხდა მაგრამ მარტო ეს არ უშველის საქვს: სწორედ დასის მოწვევის შემდეგ საჭიროებს სამშობლო სცენა მათს სიფიზღეს, სიბეჯითეს, ყოველის მხრით ხელის შეწყობასა და არა მხოლოდ სახელით გამეგობის წევრად ყოფნას: წელს ჰმართებთ განსაკუთრებითი უნარის გამოჩენა, რომ საზოგადოება შინაარსიანის და დროს შესაფერი რებერტუარით მიმსკეპლო თეატრზე და სულიერი მოთხოვნილება დაუკმაყოფილონ...

და თუ ყოველი მათგანი — მსახიობი, რეჟისორი, გამეგობის წევრი, მოკარნახე, სცენარიუსი, დეკორატორი და უთვალჩინო მუშა სცენისა — მართლა და კეთილსინდისიერად მოეპყრობა ნაკისრ მოვალეობას, — ჩვენის თეატრის წინსვლას ვერა რა დააბრკოლებს!..

ამ რწმენით მივესალმებით სახამირო სეზონის დასაწყებად შეკრებილ მსახიობთა და მათ მესვეურთ.





ჩვენი თეატრი გადასაპოთავლია

როგორც წინა წერილში ვსთქვია (იხ. თ. და ც. № 7), ჩვენი თეატრის გადაკეთება აუცილებლად საჭიროა. ამას ის გარემოება მოითხოვს, რომ იგი უცნაურ გეგმაზედ არის აშენებული, რაღაც თეატრისებურად მოწყობილს „ფარღალადა“ დარბაზსა ჰგავს, რის გამო ბევრი ადგილი გამოუყენებელი რჩება და ამ მიზეზით ადგილების სიკოტავე ხშირად ბევრს მსურველს უკან აბრუნებს. ეს ეხლათ, და თუ ჩვენი თეატრის მოთხოვნილებების თანდათან ზრდას მივხედვით, შემდეგში იგი (თეატრი) თეატრში მოსიარულე საზოგადოებისათვის უფრო პატარა შეიქმნება. ხოლო სხვა, ახალი, ყოველ მხრივ მოწყობილი და საკმარისი თეატრის აშენების იმედი კი შორს მომავალშიაც არ შეიძლება ვიქონიოთ. მაშინ ისევე სჯობია მოხერხდეს ეს ეხლანდელი დარბაზი ადგილებით შევავსოთ და ნამდვილ თეატრად გადავაქციოთ იმდენად, რამდენათაც ამას თვითონ შენობა აიტანს. ეს თუ შევასრულეთ, თეატრიც თეატრს დაემსგავსება და ადგილების რაოდენობითაც კარგა ხანს შეიძლება ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

უმათავრესი მოსახდენი ცვლილება შემდეგია: ბენუარს ზევით ეხლანდელი ორის მაგიერ ოთხი იარუსი უნდა გაკეთდეს, ბოლო სართულში ლოჯები საკუთრად იმ საზოგადოებისთვის მოეწყოს, „ლოჯების საზოგადოებას“ რომ ეჩაზიან და მეზობლებიც რომ თავისი მსგავსი ესურვება. შემდეგ ორ იარუსში კუბონები და ლოჯები გაკეთდეს, როგორც ეს სახაზინო თეატრშია. ზევითი მეოთხე ხომ გალერაზედვე დარჩება. ორ ახალ მიმატებულ იარუსში დაეტევა 28 ლოჯა 112 ადგილი და კუბონები 200 ადგილით. პარტერს ბოძებიდან რომ ამიარაოს (ამფიტეატრად) ორი რიგი სელი მიემატება 40 ადგილით. (ბოძები, რაღა თქმა უნდა, მოსასპობია). პარტერის სავარძლები იმდენად უნდა დავიწროვდეს, რამდენდაც ადამიანის შიგ ჯდომისთვის არის საკმარისი, და ამ დავიწროვებით ოთხს თუ ხუთად ვერა, ხუთს მიინც ექვსად ვაქცევთ

და ამით პარტერს 50 ადგილი მიინც შეემატება. ასეთი გადაკეთებით თეატრს მიემატება 300—350 ადგილი მიინცა.

ამისთანა ცვლილებით იმას გარდა, რომ თეატრი მართლა თეატრს დაემსგავსება, ის ღირსებაც მიეცემა, რომ მოქირავნებს შემოსავალს მიუმატებს და პატრონს კიდევ უფლებას მისცემს მეტი ქირა მოითხოვოს; ამ წამატებული ქირით კი ზედ დახარჯული ხუთექვს წელიწადში შეიძლება სარგებლიანად ანახალურდეს.

ახლა ის არის სათქმელი — ამ გადაკეთების ხარჯი ვინ იკისროს? ამაზე მომავალ ნომერში.

თავისუფალი მეთვალეურე

ლადო აღნიაშვილი

მისის გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო 1904—1914.
(მოგონებები)

მარტოს დამლევს 1881 წ. ჯერ ისევ თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის პანსიონში ვსცხოვრობდი და ამხანაგებთან ერთად მომავალ უკანასკნელ ეგზემენებზე ვფიქრობდი. ერთ დღეს სათავდაზნაურო სკოლიდან (ახლანდელი გიმნაზია) შემეპოვნებინეს — ინსპექტორი გიბარეისო. მაშინ სკოლა იმყოფებოდა ჩუღურეთში, თავითაქიშვილის სახლში, და ინსპექტორად, ანუ სკოლის გამგედ, ნიკო ლომოური იყო. „ჟალის“ და „ქაჯანას“ წყალობით ნიკოს უკვე ვიცნობდი, მხოლოდ ნახვით-კი ჯერ არ მენახა. დანიშნულს ვადაზე მივედი სკოლაში და გულის ფანქვლით ვიკითხე ინსპექტორი: დაბარების მიზანს მიხედვით ვიყავე ვედი მეორე სართულში გაილა კარი და ნიკო გამოვიდა თავის ბინიდან.

- მიჩინაშვილი ხართ? მკითხა ღიმილით ნიკო.
- დიაღ, მივუვე მე.
- მაშ შევიდეთ ოთახში და იქ ვისაუბროთ.
- ნიკომ შემიყვანა თავის კაბინეტში, მომიდგა სკამი და მიხოვა დაჯდომა.



— თქვენი სახელი? მკითხა კ'დე ნიკომ.

— ალექსი.

— ბატონო ალექსი, მე შინდა მოგიწვიოთ ჩვენი სკოლის მასწავლებლად და, იმედია, უარს არ იტყვი. ჩვენი სკოლა ნამდვილი ქართული ეროვნული დაწესებულებაა. ჩვენ აქ ვუმზადებთ სამშობლოს ერთგულ, შეგნებულ შეილებს, მომავალ მოღვაწეებს და გულ-შემბატოვრებს. ამიტომ ყოველი ჩვენთანგანი მოვალეა ემსახუროს ამ წმინდა ეროვნულ საქმეს. თუ თანახმა იქნებით, გადავსცემ ჩვენს კომიტეტს და მომავალი ივლისის პირველიდან ჩაირიცხებით მასწავლებლად მხოლოდ ეს-კია — თქვენ დაკვირდებით სანიმუშო გაკვეთილის მიცემა კომიტეტის წევრების თანადასწრებით.

ყველა ამ სიტყვებით, სახის გამომეტყველებით, ალერსიანი კილოთი, ტკბილის ქართულის ენით ნიკო ლომოურმა ისეთი მძლავრი, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მთლად მომაჯადოვა: მე მზად ვიყავ იმ წამიდანვე იქ დავრჩენილიყავ და პანსიონში აღარ დაებრუნებულეყავ.

რასაკვირველია, მე თანხმობა გამოვაცხადე. დანიშნეს სანიმუშო გაკვეთილის მიცემის დღე. გამოვცხადდი ვადაზე და ჯერ ისევ შეგირდის სახელმწიფო ნაცრის ფერ ბლუზაში გამოწყობილი შევედი კლასში. შემომყვინენ კომიტეტის წევრი ნიკო ცხვედაძე (იაკობ გოგებაშვილი უქეთეობის გამო არ მოსულიყო) და ინსპექტორი ნიკო ლომოური. გათავდა გაკვეთილი. ცხვედაძე და ლომოური შევიდნენ ცალკე ოთახში მოსალაპარაკებლად. ცოტა ხნის შემდეგ ორივენი ერთად გამოვიდნენ და ჩემთვის სასარგებლო განაჩენი გამოიტანეს. ნიკო ცხვედაძემ მხარზე ხელი დამადო და დიმილით მითხრა: — დღეიდან ჩვენი მასწავლებელი ხარ; პირველ ივლისიდან სამსახური ჩაგეთვლება.

მიამა, რასაკვირველია, ცხვედაძის სიტყვები. მხოლოდ მას აქვე გამოვუცხადე ერთი დაბრკოლება, რომელიც მე წინ მეღობებოდა და ნებას არ მაძლევდა სათავად-ახნაურო სკოლაში მასწავლებლად შეესულიყავ: მე აღვიზარდე სახელმწიფო ხარჯზე და, როგორც სახელმწიფო მოწაფე, კანონის ძალით ვალ-

დებული ვიყავ ექვსი წელიწადი უმკველად სახელმწიფო სამსახურში ვყოფილიყავ. ცხვედაძემ აღმოთქვა კავკასიის ოლქის მზრუველის წინაშე შუამდგომლობა სავალდებულო სამსახურის თავიდან ასაცილებლად. შუამდგომლობამ გასკრა, მხოლოდ სახელმწიფო სამსახურზედ უარის თქმის გამო დამაკისრეს 900 მან. ვარდახდა ხაზინის სასარგებლოდ ჩემზე დახარჯული ფულის აღსადგენად. ეს ფული უნდა დაეკირათ ჩემ მომავალ ჯამაგირიდან წვრილ-წვრილად.

იმ ფიქრმა, რომ მე მომელის ქართველ საზოგადოებაში დატრიალება, ქართულ სკოლაში სამსახური და მერე ისიც ნიკო ლომოურის ხელმძღვანელობით, ადვილად გამებედინა ამოდენა ვალის კისრობა.



ლადო ადნაშვილი და მისი და.

II

ავვისტოს ოცში დაებრუნდი კახეთიდან და უკვე მასწავლებლის ხარისხით აღჭურვილი გამოვცხადდი ახალ სამსახურში. ზაფხულის განმავლობაში სკოლა გადაეტანათ ჩუღურეთიდან სოლოლაკში, პასკევიჩის ქუჩაზე ბაისოლოლოვის სახლში. მისეღისთანავე ნიკო ლომოური მომეგება სწორედ ნათესაურის და არა უფროსის გამომეტყველებით და თავის დამატკობელის სიტყვებით მიმიწვია თავის მაგიდისკენ, რომლის მახლობლად შევნიშნე სრულიად ახალგაზდა, მეტად მიშვიდველი სახის უცნობი პირი.



— გზობით გაიქნათ ეს ემაწვილი; ესეც ჩენი ახალი მასწავლებელია, — მითხრა მე ლომოურმა და მიმიჯანა იმ უცნობთან.

უცნობი აღმოჩნდა ლადო აღნიაშვილი, რომელსაც იმავე გაზაფხულზე დაემთავრებინა კურსი გორის საოსტატო სემენარიისა და რომელიც ზაფხულისავე განმავლობაში აგრედვე მოეწვიათ მასწავლებლად. ხნითაც და სამსახურითაც ამგვარად მე და აღნიაშვილი ტოლები აღმოვჩნდით. რამდენიმე წლით ჩვენზე წინად მასწავლებლადვე მიწვეული იყო განსვენებული რაჟდენ ჯაჯანაშვილი. მალე ეს რაჟდენიც გავიცანით. პირველს ნახვაში-

ვე აღნიაშვილმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: სასიამოვნო გარეგნობა, მეტად მშვიდი, წყნარი და სოფლის ძველებურ პატარძალივით მორცხვი ხასიათი, კაი ქართულით საუბარი — ყველა ეს თვისებანი მეტად ხელს უწყობდნენ ლადოს, რომ ნაცნობთა შორის მსწრაფლ აღეძრა მასთან დაახლოვების და დამეკობრობის სურვილი. აკი ასეც მოხდა: მის სიკვდილის უამამდე ჩენი ძმური და მეგობრული განწყობილება არ დარღვეულა.

აღ. მირიანაშვილი

(გაბრძელება შემდეგ)



მ ო ხ უ ც ი მ ნ ა თ ე

რუსულ მაზარა წამოსხმული, წელიში მოხრილი გამოვიდა სენაკიდან გოგია ანაკიძე, სოფლის ეკლესიის მნათე და დაღვრემილმა თვალი მოავლო არე-მარეს.

შეჩერდა. ხელის ძაგძაგით ფარაჯის კალთა თვალვებთან მიიტანა, ცრემლი მოაწმინდა...

— მადლობა ღმერთს! სლოკინით წარმოსთქვა და სამრეკლოს მიაშტერდა; მერე ცაცხვის ძირას ქვაზე ჩამოჯდა. ფიქრში წავიდა ..



— ამდენ უბედურებასთან მარჯვენაც გამიხმა, მარჯვენაც... რაღა ექნა აწ? შუბლი. დავდარა... მართლაც ეს ერთი კვირაა, რაც საბარლოს „დაძმობა“ დავცა და მარჯვენა ხელი მოსტაცა, ის მარჯვენა ხელი, რო-

მელიც მისთვის ყველაფერი იყო... რაღა ქნას ახლა? რით დარეკოს ხარი, რით აუღვას ენა უსიტყუო ლითონს, რომელიც გოგოას ხელში მეტყველებდა?! რით? არა, ის უფარგისი შეიქმნა ამ ხელობისთვის და სოფელმაც უკვე ახალი ჯან-სალი დარაჯი დაიქირავა... უნდა მიატოვოს გოგამ ეკლესიის სენაკი, რომელშიც ოცდა ათი წელი გაუტარებია, უნდა მიატოვოს საყვარელი სამრეკლო, რომელზედაც დღეში სამჯერ მიინც ასულა .. მერე სად წავიდეს... სად? ვისთან მივიდეს?!

გაახსენდა ერთად-ერთი ვაჟი, რომელიც ამ ცხრა წლის წინად მოსტაცეს და ბორკილებ-შეყრილი ცივ ქვეყნისკენ გაისტუმრეს... გაახსენდა და ცრემლის ნაკადული თვალებიდან გადმოსკდა...

— სად ხარ, ჩემო დამტირებელო შვილო, ჩემო ნინიკა! ამოიგმინა მოხუცმა... რვა წელიწადია შენი ხმა არ გამიგონია... რვა... მგარამ. უტებ მოხუტი შეკრთა, რაღაც მოავანდა, ცრემლიანი თვალები გაუბრწყინდა, სამრეკლოზე დიდ ხარას მიაშტერდა... მიაშტერდა და სახეზე ნათელი გადაეკრა, ტუჩებმა ნელა თრთოლა დაუწყეს — შეკრული შუბლი გაეხსნა. .

— ჰო, მაშინ, მაშინ... და დიდ ხარს ღიმილით შეხედა... — ჩემო, ჩემო! და სამრეკლოსკენ ხელი გაიშვირა...

მას გაახსენდა ის ნეტარი დრო, როცა ბედნიერი, ჯანსაღი, სიხარულით აღსავსე სამრეკლოზე ავიდოდა ხოლმე და დიდ ზარს ააგუგუნებდა ხალხის მოსახმობლად... რა ტკიპილი იყო ჯის წამები, რა მომხიბლავი, რა სიხარულით რეკავდა დიდ ზარს და უხმობდა სოფელს ახალი მცნების გასაგონად...

კიდევ მიაშტერდა მოღუშულ ლითონს, რომელიც ერთ დროს გოგიასთან ერთად მზიარულებდა და აღფრთოვანებული, ძლიერი ხმით გაიძახოდა: „ნაუ, ნაუს“ სულ სხვა მგლოდია იყო ჩაქსოვილი მაშინდელ ზარის გამოძახილი. ეს სწამდა გოგიას, ეს სწამდა ხალხსაც და როცა პირველად გაიგონეს გოგიას-მიერ ამეტყველებულ ზარის ხმა, ხალხის გულში სულ სხვა სიმი ატოკდა, სულ სხვა რამე გაიღვიძა—და ისიც სულის ღელვით ისმენდა გოგიას ზარის გამოძახილს... ისმენდა და ეშვადებოდა ხარბად ჩაეყლაპა ის სხივი, რომლის წინამორბედი „დიდი ზარი“ იყო...

გოგიაც გრძნობდა, თუ რა ძალის აწნავდა მაშინ თავის ხელოვნებაში და უხაროდა... უხაროდა თვით ლითონსაც...

მაგრამ... დრო შეიცვალა... და გოგია-მაც გააგრძელა ძველი სევდიანი რეკა, რომელშიც ჩაწნული იყო მორჩილება და სინანული, სევდა და სასოწარკვეთილება... გრძნობდა გოგია რომ გაქრა აღფრთოვანება, იმედი და გული უკვდებოდა... და ხშირად, როცა დიდ ზარს შემოკრავდა და ზედ პაწიას ხმას მიაყოლებდა, სევდიანი ააფიქრებდა ხოლმე:

— ეხ, როდის მოვესწრობი იმ დროს, კიდევ შემოვკრა დიდ ზარს ძველებურად, რომ ხალხმა მაცხოვრის მკნების სიტყვები კვლავ გაიგონოსო...

მაგრამ...

აი, ახლაც გაახსენდა ყველაფერი ეს, თვალწინ წარმოუდგა თვისი განვლილი ცხოვრება... წინ დაეხატა თვისი ნატვრა-ოცნება...

— ვეღარ, ვეღარ მოვესწარი კიდევ მომხმობა ხალხი, — გაფიქრა აღბად საბრალომ, როცა აკანკალებული ხელით პირჯვარი გამოისახა და შვილის სახელი ასენა...


სალამოა... გოგია სამრეკლოზე ასულა იგი უკანასკნელ ღამეს ატარებს თავის საყვარელ ლითონთა შორის, ხვალ-კი სენაკს უნდა მოშორდეს და სოფელ-სოფელ სამათხოვროდ წავიდეს... დიდის გაკირვებით ამოვიდა სამრეკლოზე, უნდა გამოეთხოვოს თავის მგობრებს... სამუხეზა სკამზე ჩამოჯდა და ისევ ფიქრმა წაიღო... ამ საღამოს სოფლის დუქნებისკენ ჩაიარა მან და ახალი ამბები გაიგო: სხვათა შორის, ვითომც გადასახლებულნი დაბრუნებულიყვნენ.

— შვილო, ნინიკა, ეგებ შენც დაბრუნდი? წამოიძახა მოხუცმა... სახე გაუბრწყინდა.

— შვილო, კიდევ წამოიგძინა, მერე ზარებს მოავლო თვალი და დადუმდა; მისი ღუმილი სავსე იყო სევდის მომგვრელ მოგონებით, ტანჯვითა და ოხვრით...

— მაშ, ახალ სიტყვას კიდევ მოვისმენ! გაიფიქრა გოგიათა გააყრეოლა ისეთ ნიარად, რომ მთელი ტანი აუთრთოლდა, ყურებმა წივილი დაუწყა, თვალები აუთამაშდა... წამი და იგი რალაც გამოურკვეველმა ძალამ შეიპყრო დიდმა ზარმა მიიზიდა მისი არსება, მიიკვთა მისი სული და გული...

ბინდმა მოიცვა მთლად არე-მარე... გოგია ოხვრით გაიშოტა სამრეკლოზე და სათვლელად მომზადებულ სოფელს გადახედა... მერე ძილმა მოიტაცა და მოხუცს ნელა ჩასთვლიმა აბუტუტდა სიო ცაცხვის ფოთლებში, — ქრიკინებმა კრუსუნით ამოიკვნესეს და ძილს მიეცნენ, მხოლოდ მინდვრის კალიები ხმა მალლა გაკვიოდნენ და ნიავის ჩურჩულს ბანს აძლევდნენ...





გოგია გულ-საკლავად ოხრავდა ძილში... რალიცას ბუტბუტებდა... მაგრამ უტებ შესწყვიტა სუნთქვა.—აი მძინარის თვალწინ გადანიშნა მისი ცხოვრება... იგი სულ განაბული, თრთოლივით უტკბერს თავის ბედნიერ განვლილ წამებს... მაგრამ სურათი შეიცვალა: მის წინ გამოჩნდა დაღვრემილი, ბოროკილებიანი ნინია ..

— შესწყვიტე, მამა, ზარის რეკა?... აღარავინ მოდის?... უძახის ვაჟი და იგიც უსმენს შვილის და ცრემლი სდის .. ატოკდა მოხუცი.. რამდენჯერმე საშინლად ამოიგმინა.

სურათი იცვლება .. იგი ხედავს ნინიას დაბრუნებულს, მზიარულს... იგი მიმისკენ მოდის...—მამა, დარეკე ზარი, მოუხმე ხალხს! —უძახის პირ-მცინარი ვაჟი...

— კი, შეილო, და იგი ზარისკენ მიექანება... მაგრამ ამ დროს ჩნდება ხალხი— გოგიას წინ ეღობება.

— გოგია ვერ დარეკს ზარს, ხელ გამხმარია! წამოიძახებს ერთი...

— არ შეუძლია! იძახის მეორე ..

— ახალი მნათე დარეკს...

— მამა დარეკე, მოუხმე ხალხს... ესმის გოგიას ნინიას ხმა...

— კი, შეილო, შემიძლია დავრეკო ზარი... და გოგია აპოხს ხალხს... აი, იგი ავიდა სამრეკლოზე... შემოპკრა დიდ ზარს და გაისმა მისი მომჯადოებელი ხმა...

— დარეკე მამა! კიდევ მოგესა გოგიას ხმა, როცა ზარს აგულუნებდა... გოგია შეკრთა... „რეკე, მაშ რა არის?!“ გაითქრა მან...

— დარეკე მამა... თუ შეგიძლია! კიდევ ესმის გოგიას...

უტებ ყველაფერი ქრება... გოგია ოხვართი ზეზე წამოვარდება ..

— შემიძლია, შემიძლია შეილო, .. აკანკალებული ეცემა თოკს...

— ნალუ, ნელის ხმით გაზომორა ზარმა — და სევდიანი მისი ხმა სივრცეში ჩაკვდა ..

— შეილო! წამოიგინა მოხუცმა... აღარ შემო...დ...ლ... ტუნებზე ელაკვდა უკანასკნელი ასო და ძირს დაეცა...

მეორე დილას, როცა ახალი მნათე სამრეკლოზე ცისკარის დასარეკად ავიდა, საბრალო გოგია მკვდარი ნახა.



ღია ჩიანელი

სიმახინჯე, რომორს სხმა

მე-XIX-ე საუკუნის ქართველისა დღევანდლამდე*)

სიმახინჯე... ოს, რა მასწავნა რამ არის ეს სახელი, რა ცუდი შინაარსის მატარებელია იგი, და მე კი დღეს ამ სიმახინჯეზე ვაძარბო სავაზარს. მსურს ამ საკანზე გაშვებასა და მატარებელ მულაშეთხელს, და გავამახინჯებული სახე ქართველისა დაუხატა. დაუხატონა ისე, როგორც ამის ჩემი ფანტაზია შეუძლებს, არა ფანტაზიარობისა სავან დმერთმა დაგვიფაროს, და ცხოვრების სარკიდან კი მსურს სურათის ამოღება. თუმც ისიც ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ ფანტაზიაც არის და ფანტაზიაც, არის იგი ხორც-შესხმული სიამაღლე, ფანტაზიის ზეწარმო გამოხვე-

ული, არის ოცნება, ემზარეულობას მოგიღებელი, ფანტაზია წმინდა, ნამდვილი. მე ხარველსე მსურს ვიღაზარაო, რადგან ცხოვრებას შევლები ვართ, მას გაუწიეთ ანგარიში, ოცნების ფრთებით ოცნებას სამეფოში ფრენა კი სხვას დაუღობთ. დავაკვირდეთ ცხოვრებას. წარმოვადგინოთ ერთი წუთით ასეთი სურათი: ავადობთ ქანდაკება ეღვინათ. მაგალითად ახლონ ბეჟვედრეღისა, ანუ მილოსელის ვენერასი. წამოვადგინოთ შემდეგ, რომ ერთ წუთად დღეს, ამ უკლე მშენებარებას შეეხებ ვისიმე მსაჯური ხელი, და კი არ დაამსხვრას, არა მან აიღო თიხა, წამოასხა ევროპაული რამ სიამოთი, ან ევროპაული ქუდი ზედ დახურა. შეხვეთ შემდეგ ამ სურათს. თქვენში, თუ განვითარებუ-

*) საჯაროდ წაითხული თბ. მუს. დარბაზში 22 ივნისს.



დო გაჭვთ ესთეტიური ჭერგეტა, თუ იცით რა არის ტუბობა მშენებრებით, ვადვიდები სი-
ზლი იმ კაცისადმი, რომელიც შეეხო ელდინთ ქმნალების საუკეთესო ნიმუშს, ნაყოფს ერის გენიასის. რას ვიხსობ ჩვენ? გამოვლენ გულ-
შემატკიანობა, რომელიც შემოგვხვევას გარმე-
მო, და ედლებიან ეს ზედ-ნაშენი სიმახინჯე შემთავდლონ ისე, რომ ის სახეობი, რომელიც გამოაქანდაკა მადლიანმა ხელმა ელდინთ გენი-
სისამ, არ დამახინჯდეს თუ შესილებენ. ან და წარმოვიდგინოთ მთლიან კადმოვარდნილი ახვა-
რა ნაკადული, რომელიც სულ ბრძოლაშია, ესეთქება კლდინან კლდეს, ვერცხლას ცურებად მიადგურება, და ასე განაგრძობს გზას. წარმო-
ვიდგინოთ, ამ ნაკადმა მთისამ ჩამობიარდა და შე-
უერთეს მდინარეს. მდინარემ თავისი მდგრადი ტაღლები ოდნავ შეაპარა ნაკადის წმინდა ჩქერ-
ში, და შეიქმნა ახალი სიმახინჯე. ნაკადის ხე-
თელი სახე დამახინჯდა. სურათი აქც სისარე-
ლია. ან და ავიდოთ მკვლევითები უფაულ-დღი-
ურობიდან. წამოვადგინოთ ძველი ქართული, ჩოხაში, ხანჯლით, ევროპული ქუდი და ამერიკულ-
ლი ფესსეტულით. ეს სურათი ჭერ დამიღს გამოაწვევს ჩვენში. და არამც თუ დამიღს, სი-
ცლიცხე, მკვრამ სიცილი იგი მწარე აქნება, როდესაც ამ მოვლენის სიღრმეში ჩავიხედავთ. ან წარმოვიდგინოთ ქართულ ქათამში გამოაწვობილი ქართული ქალი და თავზე კი ევროპული რიდიანაა წამოვანეროთ. აქაც სიმახინჯე აქნება სტირალ-სისტილი. მკვრამ მკვლევითების მო-
ყოლებას თავი დავანებოთ. ჩვენს ცხოვრებაში მის ნიმუშებს მრავალდ შევხვდებით. მე აქ მსურს განვიმარტო ის, თუ რა არის სიმახინჯე, ან და რას ვგულისხმობ მე ამ ცნების სმარების დროს. აქ, მე სულაც არ მინტერესებს მისი ბიოლოგიურად განვიმარტება, როგორც ბიოლოგი-
კური რამ ხსიანისი, ან და როგორც ანომი-
ლია არა, ამ მხრივ ქართველებს არა გვიჭირს რა. მე მსურს განვიმარტო იგი გერეალოგიულ ფისიოლოგიურად, და სკიითს შეეხო ესთეტი-
ური თვალ-სახრისით. აქ კი, სიმახინჯე წარმო-
გვიდგება, როგორც ანტიოქსი სილამაზისი. ეს-
თეტიკური თვალთახედვით, იგი არის გრძობი-
თი არა სისიამოვნო რამე, უ. ი. სრული წინა-
მდელობა იმის, რაც ესთეტიკური განჭერტობი
ჭბალებს გრძობასს სისიამოვნოს, და რაც ცალ-

კვედება და მადლდება როგორც მშენებრით.
და არ არის ძნელი გამოხსენობა, რომ სიმახინ-
ჯე არის ცნება შედარებითი, რომ იგი არსე-
ბობს მხოლოდ აქ, სადაც არსებობს მისი ტუ-
ზა, და იმდენად, რადენადაც არსებობს ეს უკა-
ნასხენელი. ხოლო თუ არ აქნებოდა სილამაზე, მშენებრება, მაშინ არ აქნებოდა სიმახინჯეც, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ ზირველის ურ-
ყოფას და სკამარისია, რამე მოვლენამ გამოაწვიათ ჩვენში ასტიკური რეაქცია ე. ი. მოდუნება ჩვენი ნერვო-ფისიოური სიერო-
სი, და დაბადება ჩვენში ტონი უარყოფითი. დაბადება სურვილი ამ მოვლენის მოსწობისა. და ამ გვარ მოვლენათ, ან და საკანი ჩვენ ვე-
ძსით არა დამაზს, —მახინჯს. ხოლო არაის მოვლენა, რომელიც ჭერებას ჭბალებს რეაქციას სტიკურს, რომელიც გამოახატება ორგანიზმის მითმრავ მდგომარეობაში, და რომელიც ჭბალებს ჩვენში კეთილ განწყობილებას სულსის, და ამას ვეძსით სილამაზეს, მშენებრებას. ზირველს ჩვენ ვერადებთ, გვძულს, გურბობთ. მეორეს ვეტრფობთ, მისით ვსტიკებით. და დღესაც ამ ზირველზე ვილაზარკობთ, რომელმაც მე XIX საუკუნეში დამად კადვას ფესკები. ზირი დია კი, გარედანა, სადაც ვიხედებით რა, ვხედვით ამ სახარულ სურათს, რომელიც წარმოაშვა ჩვენ-
ში მე XIX საუკუნის განმავლობაში. მკვრამ ვიდრე მე XIX საუკუნეზე დავიწ-
ვებდეთ საუბარს, საჭირთა ვავისხროთ საჭარ-
თველთ მე XIX საუკუნემდის, და ვნახოთ, თუ როგორი იყო იგი. რა სურათს წარმოადგენდა, ან და როგორ არის დახტიული იგი მწერლობა-
ში. კადვავულით თვალა, კადვავულით რეკული ჩვენი ცხოვრებისა, და აქ დავინახვთ ისეთ რა-
მეს, რაც საკანობობი ისტორიას ცოტა ახსოვს. ერმა, რომელსაც აქვს მრავალი საუკუნის სი-
ცოცხლე, შეინახა სხე და დღევანდლამდის მო-
ხლდა. მიუმატოთ ამას ისიც, თუ რა რიცხვან-
ნი იყო იგი ერი, და სურათი ნათლად და გარ-
კვეულად წარმოგვიდგება. ამ ხნის განმავლობა-
ში, ქართველი ერი იბრძოდა, იბრძოდა თავ-
მეტრული, და ისე იხანჯდა თავს. ისე ჭქმნიდა თავის ისტორიას. ქართველი ერს ცალ ხელში მახვილი ეჭურს მტერთ-სკურებულად, მეორე-
ში დამაზს სიეროსანი, რომელიც იგი იკვლევდა გზას, აქმნიდა კულტურას. და რა



შეჭქმნა მან ამ გზით? რას მოგვითხრობს ის-
ტორია? ამ გზით მოსიარულე ერმა შეიქმნა
აღორძინების, ოქროს ხანა მე XII საუკუნეში,
მისცა კაცობრიობას ისეთი ჭენიანობა, როგორც
არის დიდი შოთა: რუსთველი, თავის ისტორი-
აში კი მოაქცია ისეთი სახელები, როგორც
არაჩინო ხანის, მისე ხონელი, შავთელი და
სხვანი... ამ საუკუნეს ჭენიანობა ხელმა შეაკავა
ყოველ მხრიდან მოთვალთვალე მტრები. დრო-
ებით შეჩერდა ავღარებელი ხმელი, სიმუსრად
განმზადებული, გადმოხატა საქართველოს ცაღან
შავი დრუბლები, ერთი ხარობდა, სტეპობდა ოქ-
როს ხანით, თუმც ცოტა სწიბობით აყო იგი
ტუბობა. მოკვდა ჭენიანობა მეფე-თამარმა, და ს-
ქართველად დაიქსაქსა. საქართველოს ცახე
კვლავ ზარბუნენ შავი დრუბლები. კვლავ გაღე-

კრას საქართველოს ცახე დრუბელი თალი, კვლავ
ამოდრავდა მხვილი მტრების, და ერთი გულად
ამაყი, ჯარასავით დატრავდა თავისი ზარბუ-
ბის, თავისი „მეასე შენახვისათვის, დაცვისა-
თვის. კვლავ დაიწყო ტრავდა ერთი, რომელ-
შიაც მე XII საუკუნე მისხანს როგორც ანტ-
რაქტი, ტრავდაის მოქმედებათა შუა. საქარ-
ველოს ყოველი მხრიდან შემოესია მტერი,
რომელიც ქვეყნის ზიარდან ადგვას ემუქრებოდა
და ასე, საქართველომ მე-XVII საუკუნემდის
სულ ბრძოლაში გაატარა.

მე-18 საუკუნეში-კი კვლავ მობრუნდა
ხარხი ჩუენი ცხარებებისა, გაიფარდა ბელი
ჯანდი, და ერმა იწყო აღორძინება... შეიქმნა
ახალი ხანა, მკვრამ ამასე შემდეგ...

ვახტანგ კოტეტიშვილი



ს ა ტ რ უ მ ს

მკერდ მითვლემილ ტბის ნაპირზე გამოვკერი ლერწმის ღერო,
ზედაც თვლები ამოვკვეთე, და მსურს ისე ავამღერო,
რომ შეგამყო, ჩემო კარგო, გედსავეთ ყელ-მონადერო,
ცის ასულო, მიწის ჯილდოვ, მშვენიერზე მშვენიერო.

ღაე, შენი სიწარმტაცი ნარანარ ხმებში ამეტყველდეს,
რომ არ დასკენეს არასოდეს, არასოდეს არ დაძველდეს.
შენი თვალი ლურჯი ტბაა, ლურჯ ყვავილზე ანაცური,
შიგ გამოკრთის ნახი ტრფობა, ხან სიმტკიცე ვეკაცაური;

ეგ წარბები ხშირი ტყეა. შუა ახრილ-აწვეული,
ლოყა ვარდის ფოთოლია, ბაე—ლალი-ბროწეული...

კმარა... რაგინდ რა ავწერო, ერთი სიტყეც არ მოგაკლო,
რომ დავხატო ნახ რითებში ეგ სიტუერე სწორ-უნაკლო,

ბოლოს მაინც ეს უნდა ვსთქვა: წარმტაცი ხარ თვალად, ტანად,
რომ ამ ქვეყნად მოსული ხარ სიყვარულის მოსატანად;
მეგრამ შენზე რა აზრის ვარ, ოცნებაო, ჯერ არ მკითხო,
ჯერ მსურს კარგად შეგისწავლო, გულიც უნდა წამაკითხო.


თორე ისე მე რა ვიცი შენი აწმყო, ან წარსული,
მე რა ვცოი ლერწამ ტანში, რანაირი გიდგას სული?..
და თუ მკაცვი, ეს ნუ გიკვირს, ნუ გიკვირებს ტრფობის ნანა;
მსურს ნაოღლეყო საიდუმლო, მინდა ავხსნა ამოცანა.



შალვა მიქელაძე

(დრ. სახ. გამ-ის წყირი)
...რა ჰხდება გამგეო-
ბაში თუ ვიცოდე—
დმერთი გამიწყურეს!..

ი. სიხარულიძე





ცხორება

პიესა სამ მოქმედებად



Настоящая пьеса под заглавием „Жизнь“, сочинение С. Глахашвили, разрешена Намѣстникомъ Его Императорскаго Величества на Кавказѣ для представления на сценахъ края (Отзывъ Канцеляріи за № 5003—914). 12 февраля 1914 г. Гор. Тифлисъ.

ს. გლახაშვილი Предсѣдатель Комитета
В. Колосовъ.

მოქმედნი:

- გიორგი**, ექიმი — 28 წ.
- ვანო**, ამისი ძმა, სტუდენტი, — 23 წ.
- მაია**, ამათი დიდედა, — 70 წ.
- ქატო**, გასათხოვარი ქალი, — 23 წ.
- კონა**, გასათხოვარი ქალი, მაიას ნათლული
- დათია**, მთიული მეცხვარე.
- სესია**, კონას მამა, გლეხი.
- ლანდი**, გიორგის მამისა.
- დილიუჩის კონდუქტორი.**

მოქმედება პირველი

კავკასიის გზის პირას ფიქვანძე მთის სოფელში ექიმ გიორგის კოაწია სახლის კარმიდამოა. უკან სახლი, რომლის აივანი ეზოს გადმოჰყურებს, მის წინ ვარდის ბუჩქებია; ფიქვთა და ნაძვთა ხეებს შორის ეზო შემოღობილია; ეზოს შუა დიდი კაკლის ხეა, რომლის გარსა სკამია, ხოლო მის წინ მავიდა, ზაფხულის საღამოა.

I

კოწია, გიორგი.

კოწია. (გარდსა სწვეტავს) აი, ეს გიორგისათვის... მას ჯერედ გაუფურჩქენელი უყვარს... (შევა ხსნაში, ფანჯრადანა ხსნს, რკინა სდებს მინის სვეჯაილეში ვარდსა; გაშოსვდისას) ეს-კი ჩემს ბედ-დამწვარ ნუნუსა..

გიორ. (ეზოში შემოსულა, რა შეამხნესს) კონა, შენა? საით?
კონა. სანოსა...
გიორ. უეჭველია სალოცავად!..
კონა.—დიად..

გიორ. დიდდა სახლშია?
კონა. არა, მეზობლიანთაა. გკირია რამე?.. მე დავრჩები...

გიორ. (შედის, ფანჯრადან გამჩნდება: ხანთას შეაფშა სდებს) არა, აბა, რას ამბობ... ოჰო, კედენ გაუფურჩქნავი ვარდი ჩემს მავიდაზე..

კონა. იქნება არ გესიამოვნება?

გიორ. (გამოვა) პირიქით მე ამგვარი მიყვარს, ხოლო თავის შტოზედა, მოუწყვეტელი... იგი დიდხანს იხარება.

კონა. სულერთია, მიინც დასკვნებოდა...

გიორ. მაგრამ არა სხვითი, არამედ ბუნებრივად..

კონა. (ღარცხვეთა) ნეტა არ მომეწყვეტა...

გიორ. არა, რატომ, თუ-კი გესიამოვნება..

კონა. არა, მე ჩემთვის არასდროს... აი, ესეც...

გიორ. (გახუმრებთ) ეგ ვილასთვის? უთუოდ...

კონა. ნუნუსთვის..

გიორ. (ღრუბელ გადარქუა) ნუნუსთვის?..

კონა. ნუნუს უყვარდა ვარდის მოწყვეტა და მისი დაფურცვლა.

გიორ. (მოწვევტს ვარდს) მაშ, აი, ესეც ჩემს მავიერ საფლავზე დააფურცლე... ნულარ იგვიანებ....

კონა. მე შემძლიან დღეს აღარ წავიდე, თუ შენ საქმე გაქვს რამე ..

გიორ. არა, წადი ილოცე ნუნუსთვის... ხოლო მალე მობრუნდი; და სასტუმროს გვერდითი ოთახი მოაწყე სტუმარ ქალისათვის...

კონა (უფანჯრადან შეტყუებასა გადჭკრავს) ქალისათვის?..

გიორ. ჰო, რუსეთიდან მოდის...

კონა რუსეთიდან, შენი...

გიორ. ჰო, ჩემი მეგობარი ..

კონა. (ხათუქული თავისთვის) მეგობარი... (გულში ჩაჯვდათ) გიორგი, იმას უთუოდ მთის ყვავილები ეყვარება..

გიორ. საშინლად..

კონა. მოუტანო... (გადის) მალე დაბრუნდები...

გიორ. (თვალს გააქვანებს) უცნაურობის



ღრუბელმა გადაჰკრა .. არ ესია მოვინა... მერე და მე?.. მე-კი გამახარებს?.. მე-კი მომიტანს ის გაზაფხულსა?... (კათხულობს დემეშას) "წუხელი ჩამოველ კავკასს; საღამოს მანდა ვარ. შენი კატო" (ჩაფიქრებულია) მოფრინავს...

II

გიორგი, მაია

მაია. (შემოსვლისას: თანაჲვ) შენა ხარ, შეილო, გიორგი...

გიორ. მოფრინავს, დიდედა-ჩემო, მოფრინავს...

მაია. რა მოფრინავს, შეილო! რა მოფრინავს?..

გიორ. მერცხალი, დიდედა-ჩემო, მერცხალი... გაზაფხულის ფრინველი...

მაია. იჰ, შენ-კი გიხარე: მერცხალი, შეილო, რაცხანია მოფრინილია და უკვე ზაფხულია...

გიორ. მერე და ყოველთვის მოაქვს მას სიხარული?..

მაია. იგი მახარობელია, შეილო, გაზაფხულისა; მერცხალსა, შეილო, თანა სდევს სიხარული ბუნებისა.

გიორ. მაგრამ დიდედა-ჩემო, თუ ზაფხული გვაღვიანი გამოდგა, ამით ხომ დედა-მიწა გაფიცდება და რალა გაახარებს ბუნებას?

მაია. ნაცვლად ჩვენი მყინვარი წამომდინარდება, შეილო! ჩვენც მითი გული უნდა გავიფრიოთ: მშობელი ჩვენი ნიადაგიც მითივე მოვრწყათ.

გიორ. მდინარე, დიდედა-ჩემო, თავის კალაპოტში მიდის, მინდორ-ველს მიუწყვდება?!

მაია. სათავეში, შეილო, არხი უნდა გაიყვანო და ტოტი შიგ შეუვლო.

გიორ. და მით ნიადაგი რომ მოირწყვის, დანოყიერდება, არა დიდედა-ჩემო?!

მაია. ცხოვრება გაგრძელდება, შეილო!

გიორ. და ბუნება მითი გამხიარულდება?

მაია. ბუნება, შეილო, ყოველთვის გახარებულია...

გიორ. მაშ ჩვენ, დიდედა-ჩემო, ჩვენც გავიხაროთ...

მაია. გაგახაროს, შეილო, ქრისტე ღმერთმა; შენა, შეილო, დაბადებიდან ჩვენი

გამხარებელი იყავი; მამა შენი, შეილო, ოჯახის ბურჯს გეძახდა...

გიორ. ბურჯი?! ბურჯი საძირკველ გამოცვლილი .. არა, დიდედა-ჩემო, მე მეტად სუსტი ვარ ჩემის ნაშენისათვის; ჩემი ჩამომავალი ჩია იქნება და ჩიასთვის ხომ ბუნება მკაცრია, დედინაცვალი! ვით ჩემთვის. დედინაცვლისთვის...

მაია. მართალია, შეილო, დედაშენი სუსტი იყო, და მამაშენს-კია ჯანსაღ მოდგმისა სჭიროდა .. ჩვენში, შეილო, დალილ, გაფიტულ მიწაში ნოყიერ თესლს დასთესენ ხოლმე, რომ მოსავალი საშუალოდ მიიწი მოვიდეს...

გიორ. დიახ, დიახ, გაფიტული...

მაია. ხოლო ნაცადი მეზღვე-კი, შეილო, რომ შეატყობს კეთილჯიშინი ხის სისუსტეს და უნაყოფობას, აიღებს მისგან სანერგელ შტოსა და ტყის ვაშლის ხეზე ამყობს.. აი, იგი, შეილო, თავის მაგარის ფესვით ნამყენს გააძლიერებს; გაცხოველებული ნამყენიც თავისებურ ჯიშინ ნაყოფს მოისხამს; მისთან უფრო გამძლეა.

გიორ. დიახ, დიახ, ეგ ყველაფერი კარგი, დიდედა-ჩემო მაგრამ.

მაია. ჰო, შეილო, რალაც უნდა გეხარებინა.

გიორ. ჰო, და, აი, ახლა მინდა შენი სურვილი განვახორციელო და მამის ანდერძიც აღვასრულო.

მაია. მამა ღვთისა შეგეწიოს შეილო!

გიორ. შეიძლება ხვალეე აი, ამ ჩვენს ეკლესიაში ჯვარი გადავიწერო.

მაია. ჯვარი დაგწეროს ქრისტე მაცხოვარმა და სიხარულით დაგაბეროს გამრავლებული, როგორც მე გამახარებ. მერე, შეილო, სიკვდილს აღარად მივიმჩნევ... მაგრამ, ჰე, დაილოცა ღვთის სამართალი!.. ახლა მე-კი არა, შეილო, ჩემი შეილი, უბედური მამაშენი უნდა გადგეს თავსა, რომ მშობლიური ლოცვით დაგავიერგვინოს.

გიორ. ახლა, აღარა მკითხავ, დიდედა-ჩემო, ქალი ვინ არი?

მაია. რალა თქმა უნდა, შეილო, უძრახ ოჯახისა და ჯანსაღ მოდგმისა იქნება.

გიორ. შთამამავლობა?... შთამამავლობას არც-კი ვიცნობ... დიდდა ჩემო, მე ქალსა ვთხოვლობ და მის ოჯახს რასა ვკითხვლობ.

მაია. ვუი თვალბიცი დაუდგეს შენს დიდდასა! რას ამბობ, შვილო! ექიმი ხარ, შვილო, და მაგას როგორ ამბობ? მიხაროდა გლახებს, რომ არიგებდი: „სუსტი ქალი არ შეერთოთო: გამონახეთ ჯანმრთელი მშობლისა, რომ არ ამოეწყდეთო.“

გიორ. მართალია, დიდდა-ჩემო, მართალი... მაგრამ სიყვარული...

მაია. შეგიყვარდა?!

გიორ. დიახ, დიდდა-ჩემო, რუსეთში...

მაია. რუსია?!. მერე და, შვილო, განა ქართველობაში ვეღარ შეგხვდა?..

გიორ. სიყვარული არ არჩევს...

მაია. მრწამს, შვილო!.. მაგრამ თვალი რო ჩვენში მოგველო, მაშინ სიყვარული მაგრე შორს არ გაგიტაცებდა...

გიორ. ეგ სულ ერთია, დიდდა-ჩემო! ჩვენ მოგეშინაურებთ...

მაია. სულ ერთია?!. არა, შვილო... მშობლების სხვა და სხვაობა შეიღს აორგულებს, ჩამომავლობას დაუჯიშობებს... მერე სად გაიცანი? დარწმუნდი-კი რომ მას უყვარხარ?

გიორ. მთელის ხუთის წლის ვანმავლობაში, რაც რუსეთში ვსწავლობდი, ვცდიდი და უეცირდებოდი...

მაია. მშობლებსაც კარგად იცნობდი?

გიორ. მამას ვიცნობდი, ახლახანს გარდაიცვალა. მეტად გულ-კეთილი იყო...

მაია. კეთილი?.. დედას?

გიორ. დედა ახლახანს მოჰკლდომა, რო-გორღაც ქონება აუარებელი დაუტოვებია შენს სარძლოსთვისა.

მაია. ქონება, შვილო, არაფერია... უმთავრესი თვით ქალია... მერე, დედა სადღა ჰყვანდა, რომ შენ არა გცნობია?

გიორ. საზღვარ გარეთა.

მაია. ქმართან არა სცხოვრობდა?!

გიორ. არა...

მაია. (შეტკობა უსამაჰანება) მაშ...

გიორ. ორი წლისა ყოფილა ბავშვი, რომ დაუტოვებია ოჯახი და წასულა...

მაია. წაპყლია უცხო კაცსა?! დაუტო-



მსახიობი კ. მაჭარაშვილი

სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო

ვებია ქმარ-შვილი!.. მერე და, ქალი დადიოდა დედასთანა?..

გიორ. ცამეტი წლის შემდეგ ყოველწლობით.

მაია. (მუხაღებ ჩაკაბეღა) ვუიემ დელუპულო ოჯახო?!

გიორ. დამშვიდი, დიდდა-ჩემო! დედის საქციელი იმაზე ვერ იმოქმედებს, ის მეტად კეთილი და პატიოსანი ქალია. აი, მოვა ახლა და ნახავ შენის თვალითა.

მაია. ენახამ? მერე და ნახვით, შვილო, განა იცნობებ? ქალის გამოცნობას, შვილო, ერთის შეხედვით თვით გამოკდილიც ვერ შესძლებს... ქალს ჩვენში, შვილო, ვიღრე ითხოვდნენ, საიდუმლოდ მის მშობლებს გამოიძიებენ, მეზობლებს გამოჰკითხავენ.

გიორ. შენც დიდდა-ჩემო, ორ დღეში მისი ხასიათი და ჩვეულება მისივე მოქმედებით გამოიძიე და შემდეგ შენი აზრიც გამიზიარე.

მაია. ეჰ, შვილო, სიყვარული ბრმა... ახლა გეინდა... ნაპერწკალი მოსარიდებელია სანამ თივას დაეცემა; როს იგი აბულბულდება, წყლის დასხმით ცეცხლი ვერ განელდება...

გიორ. (მაჟეჟეჟა) დიდდა-ჩემო! ჩემს ცხოვრებაში ქარი არ მომქარებია და ნაპერწკალიც მისთვის არ გამოიტანებია... მართალია სიყვარულის აღს განუტდივარ, მაგრამ სიმწვავეს ვერ დაუძლევდვარ... და, აი, ახლა-კი ვემყარები შენს გამოკდილებას...

მაია. (მოჟეჟეჟა) გენაცვალოს დიდდა შენი!.. ახლა, შვილო, ჩემი გამოკდილება ეცდება მხოლოდ ამხილოს მის სიყვარული...

ს. გლახაშვილი

(გაგრძელება შემდეგ)



რას უნადონ ხელშეწყობას მოგავალი

მრეწველობის განვითარებას სთვლიან ხელფანების გადაგვარების უმთავრეს მიზეზად: უსულო მანქანები თანდათან სწობენ შემოქმედებითი წარმადეობას; იქ, სადაც ადამიანის გონება დახლუხუტულია და უბრალო ვანტის როლს ასრულებს, შეუძლებელია ხელფანების განვითარება. ეთოს აზრით, მრეწველობა სრულიად არ გამოიწვევს ხელფანების კრიზისს, რადგან რაც უფრო ახლოს დავიმკვსება მანქანა ცოცხალ აზრებს, იგი მით უფრო ესთეტიური იქნება ადამიანისათვის; მრეწველობის იდეალია ძალთა ეკონომია, ცხოვრების იდეალიც იგივეა და მხოლოდ ცხოვრებაში შეხვედებით ამ იდეალს სრულს განხორციელებას. ერთის შეხვედრით, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლება მართლაც ფრიალ მუხებულად მოსწონს ხელფანების განვითარებისათვის; მანქანისებური მუშაობა ქარხნებში ჩამოუღ მუშისა, იქ გამოეზღულია კერძო ეკონომიური დანაწილება საშუალოს (რას წინააღმდეგ კერძო განხორციელებს იდეალიზმის მიხედვით) ძალზე აფერხებს მუშების გონებრივ განვითარებას^{*)} და კერძოდ მათ ესთეტიურ შეგებას, მაგრამ დემოკრატია სწორედ იმ ზიანითაა შესაქმნელია იბრძვის, რომელიც დღეს ოთხად წელიში მოხრილ მშრომელთ საშუალებას მისცემს, იცხოვროს ადამიანური ცხოვრებით და ფიზიკური მუშაობა გონებრივი ფარჯიშობით გადაინაცვლოს.

გარდა ამისა მანქანების ურთულეს განვითარებაში ადამიანი რაღაც სუბიექტიურად ხელდას და შეადარებს რა თვის მოძრა და ცოცხალ გონებას იმ უსულო სხაცხან, რომელიც მხოლოდ მის მიერ ამოძრავდება, მით შეტოვებულია მისი და აღფრთხილებით შექმნის ადამიანის შემოქმედებით ნიჭიერებათ და ამ უსულო მანქანათა კი ბოტურის ელფერი შემოსავს.

ზოგჯერ განსაკუთრებით რკინის გზებისათვის მიუქცევაა ყურადღება და დასაკნის:

^{*)} როგორც მიხაილოვსკი იტყვია: „фабрика является высокой степенью развития пониженного типа...“

მათ დაარღვევს ბუნების წარმტაც სურათის სადაც და თვისი მიზიდველობა დაუარკეს. ხოლო რკინის გზები ამ მხრივ სრულიად უგუნებელია; ზიარქით იგინი შეძლებას გადალევინ თავისუფლად ვიგზავროთ სხვა და სხვა ქვეუნებში და გაეცნოთ სხვა და სხვა ბუნებას. ჩვენს ლამაზ და ტურფა ქვეყანაში მატარებელით მოგზაურობას დროს უცხოელი შეუძლია გააღოს იფანჯრა და დასტებეს იმ უძვირფასეს სანახარობით, რომელიც თავაღწინ გადაუღლებს. მართალია, სულ სხვა საამოვნებას განიცადის ადამიანი, როდესაც ფეხით მოგზაურობს და მასხადამე შეუძლია ხანგრძლივად დასტებეს ბუნების მშვენიერი სურათის სურვეტით, მაგრამ ასეთ საშუალებას რკინის გზები სრულიად არ გვიშობენ. ვისაც სურვილი აქვს, განსაკუთრებით დღეს შეუძლია დაიოვლიეროს ძვირფასი ადგილები.

დაიდ, ვერც მრეწველობის განვითარებას ძალუძს ხელფანების შეფერხება. მოვა დრო, როდესაც შავი სკარტლით შესვრილ ქარხნების საგმელშიც შეაჭრება ხელფანებს და თვისი სიმშვენიერის შესახებ მკვერთიკველური, ქადაგებით უფელს აგრძობების თვის სიძლიერეს; ამ დროს იგი უფელსათვის „არსებობის პურად“ შეიქმნება და ფასი იქნება ჭარბინაული განვითარებათ თავისუფლებისა და ძიობისა, შეცნობებისა და მშვენიერების სათანადო შეგებისა...

აღ. წერეთელი

საჭიროა დრ. საზ. ბაქოში

ბაქოში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი ამ ზოთადე წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ გაიზარდა. თუ წინად აქ იშვიათად შეხვედებოდათ ქართველს, დღეს უფელ დაწესებულებაში ნახავთ, განსაკუთრებით ნავთის სამრეწველოებში. და ეს მოვლენა არც გასაკვირვებელია. ამ რეზუთის სამეფოს^{*)} თუ შორეულ ქვეყნებდან ისობით და ზიანობით აწულებს ხალხს, რატომ ახლობელ საქართველოს მკვიდრნი. არ უნდა ექვივნენ სამუშაოდ ბევრი თუმცა ჩამოსვლისათვის ვერ მოულობს საქმეს, მაგრამ სამუშაოს მოლოდინში აქ რება და საქმეს ეძებს. აი ეს არის უმთავრესი მიზეზი ბაქოში ქართველების გამრავლებისა. ამ



გარემოებით უნდა აახსნას აჭარ ქართულ კულტურულ საქმიანობის ისტორიაც და მისი დღევანდელი მდგომარეობა. ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ მის ერთს დარგს—ქართულ თეატრალურ საქმეს, რომელიც დღეს, ჩვენდა სამწუხროდ, ვერ არის რეაგირებულად.

ადგილობრივი ძალებით ქართულ წარმოდგენების მთავა ქ. ბაქოში ამ 8-მ წლის წინათ დაიწყო ქ. შ. წ. კ. გ. განყოფილებას დაარსების შემდეგ (რამდენიმე წარმოდგენა, როგორც ამბობენ, მანამდინჯე გამოირთავა, თბილისიდან ამოსულ მსახიობთ). წ. კ. განყოფილებას შესდგა დრამ. სექციის ექსპოზიციის სტენის მოყვარულსაგან, რომელიც წელიწადში ერთ-ორჯად მართავდა წარმოდგენას. მანამ ბაქოს ქართველობა მტრულ რეინტეგრაციას იყო: არ იყო საზოგ. ის ნაწილი—დემოკრატია, რომელსაც ეოვედთების და დღესაც უფრო ანტიკურებს თავისი ერთგული თეატრი, ბოლო ხანებში ბაქოს ქართველობამ იმაც და მასთან მისი კულტურული მთხიანობა და განხრად, რის დაქმნა იყო დრ. სექციის სავსებით ვერ შესძლო, რადგან მისი მთავრულ-ბატონი წ. კ. ს. გამგეობა სხვათა შორის ამ მთავრულბადა მას, ვინაიდან გამგეობის უმთავრესი სწორებას სხვის სკოლას შეადგენდა. სექცია უმთავრესად ისტორიულ ბაქოსის წარმოდგენას. ამ მიზნით დაარსდა ჯერ ბალახანში, შემდეგ შავსლაქის სახლში სხლთან ქართველ სტენის მოყვარულსაგან, რომელიც დროგამამდობით ახერხებდა თანამედროვე ბაქოსის დადგმას. ისედაც თითოეუ ჩ მოსათვლელი სტენის მოყვარული ირად გაიყუან და ერთმანეთს მტრულად დაუწესეს ცქერა. მკრამ ცოტას ხნის შემდეგ ორივე ჯგუფში იცნო თავთავისი სისუსტე დაქსაქსულობის გამო და შეერთდნ, გამოიმუშავეს რეპერტუარი, მუშაობის გეგმა და საქმეს შეუდგნენ. ამოველ ხანებში საქმე რეაგირებულ მდგომარეობაში, მკრამ განხეთქილებამ ისევე იხიან თავი და სექციის კვლავ ჩამოშორდა რამდენიმე სტენის მოყვარულ. 1911 წლიდან უფრო თვალსაჩინო შეიქმნა რეაგირებული წარმოდგენების მთხიანობა. ამას კერძო პირნიც მიხედნენ. განხედენ ანტიკურ-პრინციპის, რომელნიც მართავდნ წარმოდგენებს, როგორც ბაქოში, ისე მის რეინტეგრაციის, ადგილობრივ დაქსაქსულ სტენის მოყვარულთაგან.

სტენის მოყვარულთაგან წარმოდგენის შემოსავლის მსარე უფრო ანტიკურ-სებდა, ვიდრე მსატრული, რაც საზოგადოებას თეატრისადმი გულს უგრეობდა. მიუხედავად ამისა ვეუდა წარმოდგენას სახლი ბლომად ესწრებოდა.

საქართველოს სტენის მოყვარულთაგან, სკრთო ძალით მუშაობა, მკრამ ეს დღემდის ვერ მოხდა: ერთი ნაწილი დრამ. სექციისში მუშაობს, მეორე ქართულ ლიტერატურულ წრეში და ერთი-მეორეს არ ეკარება მიმართულებათა განსხვავების გამო. რა შეკრთებს ამ დაქსაქსულ ძალებს? რა უშვლის საქმეს მხოლოდ ერთად-ერთი დრამ. საზოგ. დაარსება.

სხვა მხრიდანაც შევეხეთ საქათხს. მართალია წ. კ. საზ. გამგეობასთან არსებული დრამ. კომიტეტი თითქოს ავტონომიურად განსაკუთრებულ თეატრალურ საქმეს, მკრამ ნამდვილად ეოვედთები მისი დაწესებულებას წ. კ. ს. გამგეობის ფილტვში იწმინდება. გამგეობა კი, როგორც ზევით ვსთქვით, თეატრალურ საქმეს სხვათა შორის უურებს: მისი თავი და თავი საზრუნავი სკვანა ქართული სკოლას, რაც სასურველია, მკრამ ამგე დროს ქართული თეატრის არ შეგვიძლია სასხვათაშორისად დავტოვოთ. ტუუალად კი თქმულა: ორი კურდღლის მიმდევარი ვერც ერთს დაიჭერა. წ. კ. საზ. გამგეობის საზრუნავად ორი საქმე, ორივე ერთი მეორეზე მნიშვნელოვანი—ქართული სკოლა და ქართული თეატრი. ერთისკენ მთიი უურადლებას მიმდევრება, მეორეს უურადლებად დტოვებას ნიშნავს და რადგანც გამგეობა უფრო სკოლას აქცევს უურადლებას, თეატრალურა საქმე იანკრება. ამ მოსაზრებათაც ვამბობთ, რომ თუ ჩვენ გვინდა ბაქოში გამოხვეწილ ქართველებს კულტურული მთხიანობა და დამოუკიდებლობა და ქართული თეატრალური საქმეც ავსავსოთ, აუცილებლად უნდა დაუარსოთ ქართული დრამატული საზოგადოება, რომელიც შეკრთებს აჭარ სტენის მოყვარულს და ქართულ თეატრის ბედი—იბაღებდაც იხრუნებს.

ჩვენ მოუწოდებთ დრამატულ კომიტეტის და ლიტერატურულ წრის იმ წევრებს, რომელთაც სურვილი აქვთ ასეთი საზოგადოების დაარსებისა, ამ შემოდგომისზე შეიკრებოდნ და საქმეს შეუდგნენ.



გ ვ რ ი ტ ი

ვაზაფხულის წყნარი საღამო იყო... მზის მსხოვან სხივებს სიცხოვლე დასუსტებოდა და მთის წვეროკინაზე დატრიალებდა ჩასასვლელად...

მინდრიდან მოისმოდა მუყაითი ძახილი ყანის მკელებისა...

— ჰოპუ, ჰოპუ, ბიქო! — გაიძახოდნენ და თან, წელში წახრილნი, მარჯათ ატრიალებდნენ ნამკლებს: ეტყობოდათ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მკაში...

ფრინველნიც ჟივილ-ხივილით მიეშურებოდნენ ტყისკენ ღამის თავშესაფარის საშოვნელად...

მინდვრის შუა-გულ ადგილას ერთი ბებერი მუხა იდგა, რომელზედაც თამამად იჯდა ორი გვრიტი, დედა და შვილი.. დედა გვრიტი ეალერსებოდა შვილს, ჰკოცნიდა, უვარცხნიდა ბუმბულს — და თან მზრუნველობით არიგებდა:

— დღეს, შვილო, შესაძლებელია უკანასკნელად ვხედავდეთ ერთმანეთს, რადგან უკვე დრო დაგიდგა საკუთარი შრომით ცხოვრებისა... ვინ იცის, რომელ კუთხეში მოგიხდეს ყოფნა... და ველარ შემხვდე. ამიტომ გახსოვდეს ჩემი ანდერძი: ყველა ჩვენს მტერთა შორის უმეტესად ერთივე ადამიანს, რადგან ყველაზე ღიდი მტერი ფრინველებისა ის არის...

— იგი შეუბრალებელია, მის გულში ჩათესილია მტრობა და შური! ის არ დაერიდება არც შენს სიჭაბუქეს, არც სიღამაზესა და ყოველთვის მზად არის მთელი თავისი ღვარძლი გაღმონათხიოს პირადი ბედნიერებისათვის...

ამ სიტყვებთან ერთად მაგრა ჩაიკრა გულში საყვარელი შვილი, რათა უკანასკნელად მოეკლა დედობრივი ჟინი...

— ბუჰ!.. იგრიალა ამ დროს თოფმა და დტდა-გვრიტი ხიდან ძირს დაეშვა ფრთხილთა. ქრილობიდან წითელმა კაპკამა სისხლმა გაღმობხეთქა... შვილიმა-კი მოასწრო გაფრენა...

— ერთიდე... ერთიდე!..“ უკანასკნელად გასძახა მომკვდავმა ფრინველმა შვილს და სული განუტყეა...

ვანო საათაშვილი.

ქართული სახალხო თეატრის ისტორია

(იხ. „თ. და ც.“ № 24)

90-იან წლებში უბნებში „თეატრის მაცუობის“ სურველი ასე გაიზარდა, რომ თითქმის ქალაქის ყველა კუთხეში აშკარად თუ ფართულად იმართებოდა წამოდგენა.



ძველი სცენის მოყვარენი

(1894 წ. გადაღებული)

1. მ. ლევანი,
2. ნ. გოციროძე,
3. ა. ბაჯიაშვილი,
4. ი. ივანიძე,
5. შოთაძე,
6. დ. ცხომელიძე,
7. იოს. იმედაშვილი,
8. რ. სალაყაია.

ამ დროს ვანქის უბანში მოქმედებდა სცენის მოყვარეთა ძეგური ამხანგობა ი. ივანიძის თავსწიებით (რამდენჯერმე თვით ივანიძის ზეისცე ითამაშეს. იოსებ ივანიძე სოცკერ ქალის როლებს ასრულებდა). რამდენიმე წამოდგენა გამართა ტერ-უნაკას სახლში 1890 წ., ჟვარის მამის ეზოში 1893 წ. ლევანის ეზოში მუხრანთან ხიდან 1894 წ. მონაწილეობას აღებდნენ: სოსო ივანიძე, დ. ცხომელიძე, რომანოზ სალაყაია, მანუელ ლევანი, გორგი არეშიძე, კალატოიშვილი, ივანე სულხანოვი, ნიკო გოციროძე, გ. საამოვი, ალექსანდრე ბაჯიაშვილი, მ. ბაქრაძე და ვ. სოზანიშვილი. ამ სცენის მოყვარეებს ესმრებოდა სცენის გაკეთება-



ში ილიკო მუსხელიშვილი, ბოლოს ეს წრეც დაიშალა.

დასწავლობით ამ ხსენებში ნაკო გაცირადე იღებდა მონაწილეობას ქართულ თეატრში, თამაშობდა ზატან როლებს, როგორც არის რობინი, ზაზა „სამშობლოში“, ბოლოს შეიქმნა სახალხო თეატრის ერთგულ მუშაკად, რომელსეულად შეიძებე გვეყენებს დაბრავი.

90-იან წლებში ს-ო სკოლის მოწვევით იასებ იმედსეილი (ხსეილი), რომელიც ხელნაწერ შურნაღს „თარს“ სტემა, შეუდგა ნაკისების ამხანავთა შორის გავრცელებას, სოფლად წარმოდებებში მონაწილეობას და ნარეულად ფარსების ქუხში დაიწყო კერძო თეატრში წარმოსადგენად მომზადება „დამის“, „ტუნწის“, „ნეზოსი“ და სხ. ნაკისების ნაწეებების, მგრამ მალე მიწეულ იქმნა აგქადის ლიტერობის მუშათა წრეში რეისორად. ამასე ქვეით.

სტენის მოყვარეთა სხვა წრემ დაიწყო წარმოდებების მართვა სოლოღასეში ნარეულად დასდგა „ტიმიბრეღია“, შერეულად „მ-მ“. წარმოდებები იართობდა თეთრბაის სხლში. მონაწილეობას იღებდენ: ქ-ნი ნინო შეუღლეი, დრო (გვანო არ მასსავს); ბ-ნი: სანდო და გივო ხარისკორაშვილები, ვანო, გიბო და იასებ რუსიშვილები, სანდო სვანდროვი, სპან თეთრბე, ტრანსი ლომბაძე, ვანო დადიანო, ტამო თქელაშვილი. იმათეე გამართეს ხარეუსში ნარეული წარმოდებენ („ბაიეუსში“) და რადგანც ნებართვა არა ჰქონდათ, ვისვანც ჟერ იყო, წარმოდებენ ჩაუშლეს და სტენის მოყვარეები გრამეშევე დახატობეს ზოღიგაში. ამით შესწდა ხარეუსის და სოლოღასეში წარმოდებები.

(შემდეგი იქნება)

გიორგი ჯაბაური

სახალხო სახლი ჭიათურაში

1911 და 1912 წლებში, სახალხო სახლის აშენება მოვარ საქმედ იყო მიჩნეული შვიი ქვის მრეწველთა სიფხულე და მეტი არ იქმნება ვთქვათ, რომ საბჭოს კრებებზედაც. პირველად დაფატორდენ, ერთ ერთ კრებულე რამოდენიმე ათასი მანათიე გადასდეს სახალხო სახლის ასაშენებლად, მაგრამ მრეწველთა სიფხლის და საბჭოს აღდრთოვანება სახალხო სახლის აშენების შესახებ მიჩნელა. ჭიათურის საზოგადოებას და ნამეტურ

მუშებს კი არ შეუძლიათ უსახლო სახლოდ გადქმნა, რადგანაც არავითარი გასართობი არა აქვთ. არის მხოლოდ ერთადერთი თეატრი, რომელიც აშენებულა მთის ძირში, სადაც მხის სხვი ვერა სწვდება. სტენაზე ისეთი სინესტეა, კაცს არ შეუძლია 5-6 საათი გაჩერდეს. და, აი, სწორედ ამ მიზეზით ჩამოზორდენ ჭიათურის სკენ ას საუეეთესო მუშანნი: გ. ნუცუბიძე, ი. გომელაური, ა. მითაიშვილი, გ. ანთოლიძე და მრ. სხ. რომელიცე მათგანი გაპირვების დროს წელიწადში ერთხელ ან ორჯელ თუ ითამაშებს, ისიც ნათამაშეე ზიესაში, რომ რეპეტიციების გავლა არ დასჭირდეს ნესტინ თეატრში. დამსწრე საზოგადოებაც დიდს გაპირვებას განიცდის დარბაზის სიფირფირით. თეატრს ლურებელი ხალხი აყვებდა, რადგანაც, როგორც ესთქვით იმის მეტი გასართობი არ არსებობს ჭიათურაში; იმ დროს როდესაც 100 და 200 მუშა უნდა ესწრებოდეს, ესწრება მხოლოდ 68 მუშა, რადგანაც მეტი დასაჯღომი ალაგი არ არის ქანდარზე, პარტერში კი დაახლოებით 150-160 კაცი ეტევა და ესეც ჭიათურის ინტელიგენტ-არისტოკრატებს არ ყოფნით, რის გამო ბევრჯერ უმპაყოფილოდ გაბრუნებულა საზოგადოება. ყოველივე ეს ცხად ჰყოფს, რომ ჭიათურაში საჭირთა სახალხო სახლის დაფუძენა. ამიტომ ჭიათურის პირისუფალთ მეტის მეტი ნერვგისი გამოჩენა სჭირთა ამ საქმის მოსავგრებლად. სახალხო სახლის კითხვა პირველ კითხვად უნდა იქმნეს დასმული და მიღებელიც ცხოვრებაში გასატარებლად, თორემ ცარიელი სიტყვით დარბაზების აშენება არავის ძალ უქს.

6. ჯახიშელი

ცხრილი აბგებელი საზოგადორო

- ◆ **ღარამბატური ი. ბედვეანიშვილი** სწერს ახალ პიესას ქართული ინტელიგენციის ცხოვრებდან.
- ◆ **ძაბთულ თეატრის საზოგადორო** დაიწყებია ი. გედვეანიშვილის „მსხვერპლით“.
- ◆ **სტუდიაში** 20 აგვისტოს 30-დე ქალი და კაცი გამოცხადდა. მათგან მხოლოდ ორი იცნეს მიღების ღირსად.
- **მუთისიღან ვ. გუნიამ** დებუა მიიღო— სეზონის დაწყება 20 ენენისთვისთისაა განზრახული, და მსახიობნი ჯერ ნუ ჩამოხვალთ, ჩამოსვლის დროს გაცნობებთო.
- ◆ **ძარ. ღარამ. საზ. დასუი მოყვებულნი** არიან (ანბანთა რიგზე): ქ-ნნი: ს ბეჟანაშვილი, ნ. თოიძე, ა. ლოლუა, ეფ. მესხი, ა. პიერეტა, ა. ქიქოძე, ენ. შოთაძე, ე. ჩერტყინიშვილი, ნ. ჩხვიძე; ბ-ნნი: ე. აბაშიძე, ე. ალულიშვილი, ვ. არაბიძე, ზ. გომელაური, ი. ხარდაღვილი, ა. იმედაშვილი, ს. კოკოიშვილი, ნ. მამულაიშვილი, მ. სარაული, გ. ფრონისპირელი, ა. ყალბეგნიშვილი, ა. შანშიაშვილი, მ. ჭიათურელი; სეულოობრი ბ. ბეგლაროძე; სტენაროუსი ზ. ურუშაძე; რეისორნი: მ. ქორელი, ალ. წყუწუნავი.
- ◆ **მოძარაშმა დასმა** სიღნაღში 17 აგვისტოს



დასრულა ზაფხულის სეზონი. სულ 21 წარმოდგენა გამართა.

► **კომპოზიტორი ე. ფოსხვაგაშვილი** გასულ კვირას თბილისს ჩამოვიდა. როგორც შეეცაყეთ, ბ-ნი ფოსხვაგაშვილი აპირებს კონცერტის გამართვას; სხვათა შორის შესრულებულ იქნება მისი ახალი ნაწარმოები „მუშლი და მუნა“ ორკესტრით და ხორო-თი.

► **აელაბრის სახალხო წარმოდგენების** მმართველმა წრემ დასი შეადგინა და რეჟისორიც (ი. ივანიძე) მოიწვია. სეზონის დაწყებას ეწყენისთვეში აპირებს.

► **სიღრაქიდან ძაბრთვლი მსახიოხნი** თბილისს დაბრუნდნენ.

► **მსახიოხი ე. მაჭარაშვილი** სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

► **პითაურის თეატრის სეზონი** დაიწყო 15 ენეტიისთვის: დაიდგმის ი. გელეგანიშვილის „ოჯახი“ და ი. გომართლის „ასონის ოინები“. თეატრის შეკეთებას შეუდგნენ; რეპერტუარი განახლებულია.

► **ლ. სურამში სეირნობა-წარმოდგენა** გამართა 16 ივლისს დ. სურამის ქარ. დრ. სახ-ის ფონდის გასაძლიერებლად. ხალხი ბლომად დაესწრო. შემოსავალი იყო 158 მ. 9 კ. ვასავალი 105 მ. 23 კ. წმინდა დარჩა 52 მან. 16 კ.

რუსთა შორის

► **დაიწვა ნოვოჩაქასკის თეატრი.** ცეხლ-ში შთანთქა დეკორაციები, წიგნთსაცავი, ტანისამოსები.

► **ქ. ღაბაშვილის თეატრ-მკვლევების** ცნობა ტყუილი გამოდა. ღუმეჩი ზვიჭრობის, დაბრით მეთ-მართა ოჯახთა სასარგებლოდ ამ შემოდგომაზე კონცერტები გამართოს.

► **ქ. სხანისლავსკის,** სამხატვრო თეატრის სულის ჩამდგმელს, რომელიც ომის გამოცხადებამდე გერმანიაში იყო, სამშობლოში დაბრუნების დროს ისეთი მძიმე შთაბეჭდილება განუტლია (შურაასცყფა მიუყენებიათ), რომ აჟად გამხდარა და ჯერაც ვერ გამოკვეულა.

► **სამხატვრო თეატრის მსახიოხთა** უმეტესობა გერმანიაში მოჰყვა და, როგორც ისმის, ბევრი მოთვანი დაუტოვლებიათ, რის გამოც სეზონის საქმე შეფერხდა, მაგრამ ნემიროვი-ღანჩენკოს განუტხადებია სეზონი მაინც გვექნება.

► **ომიანოვის ბაგო** ზოგიერთი სათეატრო ეურნალ-გაზეთი დაიხურა.

► **სიმპერატორი თეატრის რეჟისორი** ნ. ი. პაპოვემა უსაყვედურა იმ მსახიოხთ, რომელთაც სთქვის ომიანობის დროს სირცხელსა ვერმანობ, რომ მხოლოდ თეატრის მსახურნი ვართო. პაპოვემ სასტიკად დაჰგმო ოგინი. ასეთ მოაზრებით თეატრის დღიდი მნიშვნელობა შეგებული არა ჰქონიათ, ხელოვანნი არა ყოფილან და არცა სცოდნიათ, რომ თეატრი სწორედ ასეთ დროს არის საჭირო. რაც შეეება მოქალაქეობრიობას, მსახიოხისათვის ეს არა ომიანობის დროსაც საყდებულეაო.

► **თ. ი. შალიაპინის დაკარგვის ბაგო** სამხატვრო თეატრების დირექციამ მიმართა უტხო სახელმწიფოთ, რომელთაც რუსეთის ქვეშევრდომთა მფარველობა იქსრეს, სად იმყოფება შალიაპინი, რომლის დატყვევებამდეც ხმა გაერტელდა. უკანსენელი ცნობით—შალიაპინი უშიშარ ადგილას არის.

► **ბაგოჩინელი მომღერალი** ლ. სობინოვი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

► **ომიანოვის მიუხედავად** რუსეთში თეატრები ჩვეულებრივ იმოქმედებენ. ზოგიერთ თეატრის მსახიოხნი დათანხმდენ ჯამაგირის ნახევარი მიიღონ.

► **ქაბარა იმართება ყოველ საღამოგით** მოსკოვში დატყვევებულ გერმანიისა და ავსტრიის ქვეშევრდომთვან, რომელნიც ომიანობის გამო დატყვევებულ იქნენ პრუტიციის ყაზარმებში. მათ შორის აღმოჩენილა მრავალი საოპერო, შანტანისა და ცირკის მსახიოხი. შემოსავალი „წითელი ჯვარის“ სასარგებლოდ გადაიღება.

► **ომის საბრძოლისათვის** რუსეთის კერძო და საიმი. თეატრთა მსახიოხებმა ფონდი შეადგინეს თვისი ჯამაგირებიდან უწყველად ნაწილის გადაღებით.

უტხოთა შორის

► **ბერკინის მართვლობაზე** მოსთხოვა ბერლინის სამეფო თეატრში საგატროლოდ მიწვეულ რუს მსახიოხი, ერთი დღე-ღამის განმავლობაში გერმანიის საზღვრებს გასცლოდენ.

ქალთა შორის

► **ნინო ჰოვინისა თანამოაგარბთ** განუტრა-ხავს სიტყვა-კახმული თეიური ეურნალი გამოსცეს.

— **ქ. თამ. ზაქ. თარხან-მოურავისა მოუწოდება** ქართულ ქალებს—გამოიჩინათ ხასიათის სიმტკიცე, მფალენისადმი პატივისცემა, ზედმეტისარეკები შეეიმიტროთ, და საქართველოდან ოშიმ ვაჟ. დროებით დაბოლოდ დედებს, ცოლებსა და შვილებს გაქირავებაში მიუხელოდ—წიეთიერად და გარჯით დავებნართო. ამ მიზნით საჭიროდ მიანია ყველა სამამასლისოში ქალთა კომიტეტების დაფუძნება, რომ გატირებულთა ნამდვილი საჭიროება გამოიკვლიონ და დროით აწიომონ, სადაც ჯერ არს. დახმარების აღმოსაჩენად თვისი მზრთი კნ. თ. ზ. თ-სა, პირად შრომის გარდა, ამ საქმეს თეიერად ხუთ მან. სწირავს.

► **ბარდნიცვალა ა. ნ. მსიგომისა** პეტერბურგის კონსერვატორიის პოფესორი, რუსთა უნიტიერული მუსიკის მასწავლებელი ქალი.

► **რუსთა ბაგოჩინელი სოკოვო მსახიოხალი** ფელია ლიტვინი პარიზში კონცერტებს ჰმართავს რუს-ფრანგთა დაჭრილების სასარგებლოდ.

წარილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რ-რო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ ეურნალის საშუალებით მადლობა გამოუტყვოდოთ მსახიოხ ბ-ონ იოსებ ივანიძეს, რომელმაც საგარეოში ყოფნის დროს ჩვენს ბიბლიოთეკას შემოსწირა 3 მან.

საგარეოს ბიბლიოთეკის მზრუნელი **ქეთო ბელიცია**

ახალი კლუბი

საზღვ. შენობა

ტელეფ. - 7-95



დღეს — კვირას
24 აგვისტოს

საბავშვო საღამო და
დასაწყისი ნაშუადღევის 5 ს.

სინემატოგრაფი
დასაწყისი საღ. 9 ს.

ორშაბათს
25 აგვისტოს

ბენეფიცი ი. პ. სარაჯიშვილისა

კონცერტი სიმფ. ორკ. ი. ფა-
ლიაშვილის ხელმძღვანელობით

სამშაბათს
26 აგვისტოს

საოჯახო საღამო

ოთხშაბათს
27 აგვისტოს

კონცერტი ი. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით

ხუთშაბათს
28 აგვისტოს

ქართული წარმოდგენა.

პარასკევს
29 აგვისტოს

სინემატოგრაფი ს. ო. ივანიცკისა.

შაბათს
30 აგვისტოს

ბენეფიცი ი. პ. ფალიაშვილისა კონცერტი

კვირას
31 აგვისტოს

საბავშვო საღამო; სინემატოგრაფი.

სარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზღვრულ სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრაფი «აპო-
ლოს» გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში. ტელ. 11 - 79

დღეს, კვირას
24 აგვისტოს

სინემატოგრაფი, მუსიკა, ცეკვა.

ორშაბათს
25 აგვისტოს

სინემატოგრაფი.

სამშაბათს
26 აგვისტოს

სინემატოგრაფი, მუსიკა.

ოთხშაბათს
27 აგვისტოს

საზანდარი.

ხუთშაბათს
28 აგვისტოს

საბავშვო საღამო; სინემატოგრაფი; მუსიკა.

პარასკევს
29 აგვისტოს

საზანდარი; ცეკვა.

შაბათს
30 აგვისტოს

სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.

კვირას
31 აგვისტოს

სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხილან მამაკაცები - 25 კ., ქალები - 10 კ. დასაწყისი საღამოს 8 $\frac{1}{2}$ საათზე.

კლუბი ვრცელი და ყოველმხრივ მოწყობილია. ბაღი შეიძლება გაიყოს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობათათვის.

კლუბში გაიმართება ხოლმე ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო და ვოკალური საღამოები და აგრეთვე სხვადასხვა სეირნობანი.



(წ.—24)

ექ. ვანტანგ ღამბაშიძის
სანატორიუმი
 პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე
 ძალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე
 დაწვრილებით პირობებით მსურველთ გაგე-
 ზაენებით ფოსტით მოთხოვნილებითათანავე.
 მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ღამბაშიძე**
 ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

ქიქიძევი:

ა. მ. იაფვარი
 (თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის
 მკურნალი)
 შინაგან ჯვადმყოფობათა.
 დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
 წყნეთის ქ., № 19.

ქბილისა ალ. სოლოლაშვილი
 იღებს ჯვადმყოფებს
 დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
 გოლოვინის პრ., № 12.

ბ. დ. ღამბაშიძე
 შინაგან და ბავშვთა ჯვადმყოფობათა.
 ვარდის უბნის ქ. № 9.

ბ. მ. თიქანაძე
 (თბილისის საქალაქო მკურნალი)
 შინაგან სნეულებათა
 დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.
 კირონი ქ. № 18

შ. ა. მიქელაძე
 შინაგან და ბავშვთა ჯვადმყოფობათა.
 საღამოთი 6—7 ს.
 მზიხელის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

ბ. ვ. ნათიშვილი
 კანისა, ვენერული და სიფილისისა.
 დილით 11¹/₂—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
 მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

სინათლე ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. ი. გვადამბანიშვილისა, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატი.
ფ. 30 კ. ათობლივ და ასობლივ ნაღზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდაღებითაც გაიგზავნება.
 მისამართი: Тифლის, ред. «Три да Цховреба»—Иосифу Имедашвили.
 (10—4)

ახალი წიგნი
ღიქვებში, სცენებში და მოთხრობებში
ა. მ. ანაზარდვისა
 ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. 60 კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საქ. სახლი. წიგნით მოვეკრებებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.
 (5—4)

ივერეთი ყოველდღიური სა-ლიტ.-საღ. გაზეთი
 ახალ რედაქციით და თანამშრომლებით
გაზეთის ფასი: წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით—4 აბანი, ცალკე ნომერი 5 კაპ.
 საზღვარ გარედ წლიურად 15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება.
მისამართი: Кутаись, ред. газ. „Имерети“.
 რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ხალიძე**

ურდია სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამომდის ორშაბათობით.
 რედაქცია: ვიშნაზის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარაუხუციის სტამბის საღამომში.
გაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.
 ფული და წერილები მიიღება: Кутаись, ред. еженед. груз. газеты „Шрома“

„სოციალური“—კ. გამოსცემს
 დაიბეჭდა ქართველი მწერლები
 და გამოვიდა შედგენილი ი. გომელაურის მიერ, აწ. 1.
 ფასი 80 კ.